აჭარის ბუნებრივი გარემო და სატრანსპორტო კომუნიკაციები

თამარ ძირკვაძე

ელ-ფოსტა: tamar.dzirkvadze936@sps.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოფლის მეურნეობის დარგს - ტრანსპორტირებას. ეს არის დარგი, რომელსაც თავისი ფუნქციები არასდროს არ დაუკარგავს და ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო არტერიის მოვალეობას ასრულებს. სწორედ ამ დარგის განვითარება, თანმდევი პრობლემები და რისკებია განხილული ამ ნაშრომში.

კვლევის ობიექტი და საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია (2,9 ათასი კმ^2, ანუ საქართველოს მთელი ტერიტორიის 4,2%). რეგიონის ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის შეფასება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე მისი გავლენის თვალსაზრისით.

ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი პირობებისა და სარესურსო პოტენციალის შესწავლა ტრანსპორტის ეფექტური დაგეგმარებისა და განვითარების კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად.